პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 260 (9420) | შაბათი, 1 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

სოფლის მეურნეობის მშრომელებო! დაუცხრომლად იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანის შესრულებისათვის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის გამრავლებისა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდისათვის! შევქმნათ მოსახლეობისათვის სურსათისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

ლენინ—სტალინის პარტიის საბრძოლო მოწოდებანი

საბჭოთა ქვეყანა ეგებება დიდი ოქტომბრის ოცდამეთხუთმეტე წლისთავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის, რომლებიც გუშინ გამოქვეყნდა, აღფრთოვანებს საბჭოთა ხალხს კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის, პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ჩვენი გრძელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგი. ბ. სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი აღფრთოვანებით იმეორებენ ლენინ—სტალინის პარტიის მგზნებარე მოწოდებას:

— გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

35 წლის წინათ რუსეთში გამარჯვებულმა ოქტომბრის რევოლუციამ გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი, დაამხო იმპერიალისტური ბურჟუაზია ერთ-ერთ ყველაზე დიდ კაპიტალისტურ ქვეყანაში და ხელისუფლების სათავეში ჩააყენა სოციალისტური პროლეტარიატი. დაქირავებულთა კლასი, დევნილთა კლასი, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა კლასი პირველად კაცობრიობის ისტორიაში ამაღლდა გაბატონებული კლასის მდგომარეობამდე და თავისი მაგალითით აღფრთოვანებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც განხორციელდა სახელოვანი კომუნისტური პარტიის, მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადებისა და მასწავლებლების ლენინისა და სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, დასაწყისი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დაშობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერას. 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად პარტიამ დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, მოსპო კაპიტალიზმი, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება. ახლა საბჭოთა ხალხი ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანებს.

პარტიის XIX ყრილობაზე თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი შეეხო სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში ჩვენი პარტიის მოღვაწეობის საერთაშორისო მნიშვნელობას, აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის ინტერესები არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, უერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხების ინტერესებს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

„მან შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს, —ამბობს ამხანაგი სტალინი, — ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ განახორციელა რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა ულლის ლიკვიდაციისათვის, მომძე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის ნიმბამცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადაო“ უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ „დამკვრელი ბრიგადის“ წარმატებები მდგომარეობას შეუმსუბუქებდა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან“.

ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდნენ ახალი „დამკვრელი ბრიგადები“ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით, — ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა. ჩვენი პარტია მძლავრ მხარდაჭერას პოულობს ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, ომის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მთელ მსოფლიოში გაისმის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოკტომბრო მოწოდებანი:

— გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას! ძირს ომის გამჩაღებლები!

— ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის აგრესორთა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია, ჩვენი ქვეყანა თავის სამშვიდობო პოლიტიკას ახორციელებს სრული ერთსულოვნებით სხვა დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან, როგორიც არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. სსრ კავშირი ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება და მხარს დაუჭერს ამ ქვეყნებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

— ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ძვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო დემოკრატიული ძვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

— ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც ახალ წარმატებებს მიაღწია ჩინეთის ძლიერი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში!

განმტკიცდეს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა — შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე გუარჯი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია

„პრავდის“ 31/X მოწინავე

ძმურ სალამს უძღვნის გმირ კორეელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენი პარტია სალამს უძღვნის გერმანელ ხალხს, რომელიც იბრძვის ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის გერმანელი ხალხისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესების შესაბამისად.

სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკის ხალხები მშვიდობისათვის თავიანთი თავდადებული ბრძოლით აღფრთოვანებენ კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელებს. დღითიდღე მატულობს და მრავლდება ყველა ქვეყანაში მშვიდობის მომხრეთა რიგები, მტკიცდება ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის, იმპერიალისტური ბანაკის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დღეებში მთელ მსოფლიოში ჩაღდება აქტიური მზადება ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის — თანამედროეობის უძლეველი მოძრაობის — დროშას აწერია დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვები: მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას.

— მშვიდობის მომხრენო მთელ მსოფლიოში! ამხილეთ და ჩაფუშეთ იმპერიალიტ აგრესორთა დანაშაულებრივი გეგმები, საშუალებას ნუ მისცემთ ომის გამჩაღებლებს სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხთა მასები და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ ისინი!

მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეები სულ უფრო ღრმად მკვდრდებიან კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა უფართოესი მასების შეგნებაში. ოქტომბრის წინა დღეებში ლენინ—სტალინის პარტია სალამს უძღვნის მომძლე კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც სათავეში უდგანან კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხების ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის იცავდა და აძლიერებდა ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ემყარება იმას, რომ კაპიტალიზმისა და კომუნიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა სავსებით შესაძლებელია, თუ ორივე მხარეს სურს ითანამშრომლოს, თუ მზად არის შესასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, დაიცვას თანასწორუფლებიანობისა და სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

პარტიის XIX ყრილობამ კიდევ და კიდევ დაადასტურა, რომ პარტიას გადაწყვეტილი აქვს კვლავაც მტკიცედ იბრძოლოს მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა. თავის საოკტომბრო მოწოდებებში პარტია აცხადებს:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას—მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

ჩვენი ქვეყანა განუხრელად ახორციელებს ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკას და ამავე დროს ითვალისწინებს ომის საფრთხის არსებობას. ამიტომ ზრუნავს იგი და კვლავაც იზრუნებს თავისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხები დიდებით მოსავენ საბჭოთა არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს ჩვენი ქვეყანა ეგებება მასების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოებებით.

XIX ყრილობამ დაგვიხატა ამოცანა განუხრელად განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება, მოვაწყოთ და წარვმართოთ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზაზე.

— საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო, ინტელიგენციავ! წარმატებით შეასრულოთ ისტორიული ამოცანები, რომლებიც კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა! მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში!

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გააჯალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში დასახულია მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი წარმატებებისათვის, ხალხის საყოველთაო კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა.

საოქტომბრო მოწოდებებში კონკრეტულ გამოხატულებას პოულობენ ამოცანები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ დაუსახა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებს: უფრო ფართოდ დანერგონ მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, ყოველი ღონისძიებით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, განამტკიცონ დისციპლინა სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, უზრუნველყონ პროდუქციის მაღალი ხარისხი, განუხრელად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გამოავლინეთ და ფართოდ გავიყენეთ წარმოების რეზერვები. განუხრელად დაიცავით მოჰეირნეობის რეჟიმი სამეურნეო ვუნებებლობის ყველა უბანზე! დაზოგეთ ნედლეული, სათბობი, მასალები, ელექტროენერგია! შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება!

სოფლის მეურნეობის დარგში დასახულია ამოცანა განხორციელდეს სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმაფლობა, რათა მოკლე ვადებში შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე.

— სოფლის მეურნეობის მშრომელებო! დაუცხრომლად იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანის შესრულებისათვის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის გამრავლებისა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდისათვის! შევქმნათ მოსახლეობისათვის სურსათისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე!

კომუნისტური მშენებლობის საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. პარტიის XIX ყრილობამ განსაკუთრებული ძალით აღნიშნა იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლების ამოცანა, აღნიშნა, რომ საჭირო კვლავაც ვავითარებდეთ მასების საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალ შეგნებას, ვზრდიდეთ მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, სრულყოფდეთ საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებებს — ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას, ყოველი სიძნელის გადალახვისათვის მზადყოფნას და უნარს. პარტიის XIX ყრილობამ მიგვითითა, რომ საჭიროა შემდგომ განვავითაროთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, რათა მან პირველი ადგილი დაიკავოს მსოფლიო მეცნიერებაში, ვიბრძოლოთ კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი აყვავებისათვის.

— საბჭოთა დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლის მუშაკებო! ყველა ღონისძიებით განავითარეთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა! უფრო გაბედულად გაანალეთ შემოქმედებითი კრიტიკა და თვითკრიტიკა სამეცნიერო მუშაობაში! განამტკიცეთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, გააუმჯობესეთ და გააფართოეთ სპეციალისტების მოამზადება სახალხო მეურნეობისა და კულტურისათვის!

— ლიტერატურის, ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის მუშაკებო! დაუცხრომლად ამაღლეთ თქვენი შემოქმედების იდეური და მხატვრული დონე! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერი ნაწარმოებნი!

— მასწავლებლებო, სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი სკოლაში, შეაიარაღეთ მოსწავლენი მეცნიერების საფუძვლების ცოდნით! აღზარდეთ სოციალისტური საზოგადოების კულტურული, განათლებული მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებელნი!

კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია ლენინ—სტალინის დიდი პარტია. უზრუნველყო რა სოციალიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, ჩვენმა პარტიამ XIX ყრილობაზე თავის მთავარ ამოცანებად დაისახა—აეშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყველა ღონისძიებით განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან.

XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოებით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, XIX ყრილობაზე მისი ისტორიული სიტყვით შეიარაღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის საბჭოთა ხალხს მთელ მსოფლიოში მშვიდობის უძლეველი ბურჯის — თავისი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების გზით.

— გაუმარჯოს დიდ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ძვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უჩინარ დასაყრდენს!

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინ—სტალინის დიდ პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

— ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1952 წელს საშემოდგომო თესვის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ საშემოდგომო თესვის დროზე ჩატარების მნიშვნელობას, ხელიდან უშვებენ ხორბლის თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებს და იმეორებენ გასული წლის შეცდომებს, როცა საშემოდგომო თესვა გაჭიანურდა გვიან შემოდგომამდე, რამაც გამოიწვია ამ ძვირფასი სასურსათო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი შემცირება.

მიმდინარე წლის 25 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დათესილია 230.726 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი ანუ 52,7 პროცენტი, აქედან თბილისის ოლქის კოლმეურნეობებს საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებული აქვთ 56,5 პროცენტით, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებს — 3,3 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს — 16,1 პროცენტით, ხოლო აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობები სულაც არ შესდგომიან თესვას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა შესაძლებლობა არსებობს, ქუთაისის ოლქში ძლიერ ჩამორჩება საშემოდგომო თესვის სამუშაოები, რის შედეგადაც თესვის გეგმა 25 ოქტომბრისათვის შესრულებულია 41.9 პროცენტით.

საშემოდგომო თესვაში განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც 20 ოქტომბრისათვის გეგმა შეასრულეს 12,7 პროცენტით, ახმეტის—24,9, ყვარლის—29,9, თეთრი წყაროს—26,5, კაჭრეთის — 32,7, გარდაბნის — 34,6, თიანეთის—34,6, კასპის—36,4, დუშეთის—36,7, გარეუბნის—46,2, ასპინძის — 47,3, ადიგენის — 46 პროცენტით.

პარტიის რაიკომების ცალკეული მდივნებისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეების უმოქმედობის გამო დღემდე დამთავრებული არ ერის თესლის გაწმენდა და მისი აყვანა სათეს კონდიციამდე. საწყობებიდან არ გააქვთ და ნიადაგში არ შეაქვთ მინერალური სასუქები, მინდვრებიდან არ გააქვთ ნამჯა, მინდვრებს არა წმენდენ ბუჩქნარისაგან.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბრისათვის დასათესად ვარგისიანობის მხრივ შემოწმებული 713.716 ცენტნერი ხორბლის თესლიდან კონდიციურად ცნობილია 513.239 ცენტნერი ანუ 71,9 პროცენტი.

სათეს კონდიციამდე თესლის აყვანის დარგში მუშაობა განსაკუთრებით ცუდად არის მოწყობილი თელავის რაიონის (49,9 პროც.), თიანეთის (43 პროც.), ყვარლის (50,6 პროც.), ადიგენის (45,5 პროც.), ბოლნისის (54,2 პროც.), დუშეთის (61,8 პროც.), ახმეტის (59,9 პროც.) რაიონების კოლმეურნეობებში. თესლის გაწმენდის საქმეში ჩამორჩენილი არიან აგრეთვე თბილისის ოლქის გურჯაანის, ლაგოდეხის, ხაშურის, გორის რაიონების კოლმეურნეობები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობები.

მთელ რიგ მტს-ებში თესლის საწმენდად სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ რთულ მარცვალსაწმენდ მანქანებს, რაშიც ბრალი მიუძღვით ამ მტს-ების დირექტორებს.

თიანეთის მტს-ში ორი რთული მარცვალსაწმენდი მანქანა არ მუშაობს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ ქსუისის კოლმეურნეობაში 600 ცენტნერი საშემოდგომო ხორბლის თესლი ხელით გაწმინდეს, მაშინ როცა კოლმეურნეობაში უქმად დგას ქსუისის მტს-ის მარცვალსაწმენდი მანქანა. უმოქმედოდ დგას აგრეთვე სტალინირის მტს-ის 2 ახალი მანქანა.

წელს იყო შემთხვევები, რომ კოლმეურნეობებმა დათესეს უკონდიციო და უუმოწმენელი თესლი.

კაჭრეთის რაიონის სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში უკონდიციო თესლი დათესეს 20 ჰექტარზე, თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ — 16 ჰექტარზე, ამავე რაიონის სოფელ ართანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში—30 ჰექტარზე, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში — 5 ჰექტარზე.

მთელ რიგ რაიონებში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვის დანერგვას. საერთო ფართობიდან ჯვარედინად დათესილია 36,8 პროცენტი, ხოლო ვიწრო მწკრივებად — 33,2 პროცენტი.

თბილისის ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ჯვარედინად თესვის გეგმა შეასრულეს 38,1 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა — 11,5 პროცენტით.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი ტემპით წარმოებს კოლმეურნეობების მიერ მინერალური სასუქების გაზიდვა და მათი შეტანა საშემოდგომო ხორბლისათვის განკუთვნილ ფართობებში, რის შედეგადაც სოფლმომარაგების საწყობებში და რკინიგზის სადგურების ტერიტორიაზე 20 ოქტომბრისათვის დაგროვდა 10.682 ტონა მინერალური სასუქები, რომლებიც კოლმეურნეობებს არ წაუღიათ.

მინერალური სასუქები განსაკუთრებით ცუდად გააქვთ დუშეთის, მცხეთის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, კაჭრეთის, ახმეტისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებს. ახმეტის რაიონის 12 კოლმეურნეობა და თეთრი წყაროს რაიონის 15 კოლმეურნეობა სულაც არ შესდგომია მინერალური სასუქების გატანას საწყობებიდან, ნიადაგს ხნავენ და საშემოდგომო ხორბალს თესავენ მინერალური სასუქების შეუტანლად.

ნელი ტემპით წარმოებს ნიადაგის ხვნა საშემოდგომო კულტურებისათვის. მიმდინარე წლის 20 ოქტომბრისათვის მტს-ების ტრაქტორებით მოხნული იყო 229.945 ჰექტარი ანუ გეგმის 88,5 პროცენტი. მთელ რიგ ადგილებში უხარისხოდ, ზერელედ, დიდი ხარვეზებით ხნავენ.

ხვნაში ჩამორჩებიან ხაშურის, კაჭრეთის, მცხეთის, მარტყოფის, ენისლის, წნორის, თელეთის, ბადიაურისა და აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საოლქო აღმასკომებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი საშემოდგომო თესვის ჩატარებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმის უთუო შესრულება აგროტექნიკურ ვადებში. ამ მიზნით:

ა) თვითეულ მტს-სა და თვითეულ კოლმეურნეობას დაუწესდეს საშემოდგომო თესვის ყოველდღიური დავალება და უზრუნველყოფილ იქნას მისი დროზე შესრულება.

მოეწყოს ტრაქტორების სადღეღამისო მუშაობა, ისინი გამოყენებულ იქნან ღამით სახნავად და ნიადაგის მოსამზადებლად თესვის წინ. მოსახნავი მინდვრები წინასწარ გაიწმინდოს ბუჩქნარისა და ნამჯისაგან;

ბ) მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას მტს-ებისა და კოლმეურნეობების ყველა არსებული მწკრივად სათესი მანქანა, მიღწეულ იქნას, რომ თვითეული ტრაქტორისტი და მთესველი ასრულებდეს გამომუშავების დღიურ ნორმებს, ფართოდ იქნას გამოყენებული ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა;

გ) მოეწყოს თესვის სამუშაოთა ხარისხის, აგროტექნიკური წესების დაცვის ყოველდღიური კონტროლი, დაშვებულ არ იქნას უკონდიციო, შეუწამლავი თესლის თესვა და შემცირებული ნორმებით თესვა. ამ დაღლევებში დამნაშავე პირები მიცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში;

დ) კოლმეურნეობათა სარწყავ ნაკვეთებზე თესვის დამთავრების შემდეგ მოეწყოს ხშირი სარწყავი ქსელის გაყვანა და უზრუნველყოფილ იქნას თესვისშემდგომი რწყვა;

ე) უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა კოლმეურნეობამ გაიტანოს სოფლმომარაგების საწყობებიდან მისთვის გამოყოფილი მინერალური სასუქები, და მიღებულ იქნას ღონისძიებანი ამ სასუქების დროულად, ხარისხობრივად და სრულად შეტანისათვის საშემოდგომო ხორბლისათვის განკუთვნილ ფართობებზე, დაშვებულ არ იქნას ხორბლის თესვა მინერალური სასუქების შეუტანლად;

ვ) მოეთხოვოს მტს-ების დირექტორებს უზრუნველყონ კოლმეურნეობათა ყველა რთული მარცვალსაწმენდი მანქანის სრული გამოყენება, რათა ხუთი დღის ვადაში დამთავრებულ იქნას საშემოდგომო კულტურების თესლის აყვანა სათეს კონდიციებამდე;

ზ) უზრუნველყოთილ იქნას დაუყოვნებლივ გატანა საშემოდგომო ხორბლის ჯიშიანი თესლისა, რაც კოლმეურნეობებს მიეცათ სესხის და ჩვეულებრივ მარცვალში გაცვლის წესით, და მისი აუცილებლად გამოყენება დანიშნულებისამებრ.

2. დაევალოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საქართველოს კომპარტიის რაიკომების მდივნებს მოაწყონ მინდვრის სამუშაოთა ხარისხის მუდმივი კონტროლი თვითეულ კოლმეურნეობაში, პირადად შეამოწმონ დათესილი მინდვრები, თესვის ხარისხი, ადგილზევე დაუყოვნებლივ მიიღონ საჭირო ღონისძიებანი აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო აგროტექნიკის დარღვევის შემთხვევებში დამნაშავენი მისცენ სასტიკ პასუხისგებაში.

გეგმების შესრულება

დუშეთის რაიონმა 30 ოქტომბრისათვის შეასრულა დამზადებათა სახელმწიფო გეგმები: ხორცის — 102 პროცენტით, რძის — 100 პროცენტით, ბრინზა ყველის — 101 პროცენტით და მატყლის — 123 პროცენტით. პროდუქტების დამზადება გრძელდება.

* * *

ცაგერის რაიონმა 28 ოქტომბრისათვის შეასრულა დამზადებათა სახელმწიფო გეგმები: ხორცის — 100 პროცენტით, რძის — 100 პროცენტით, კვერცხის — 100 პროცენტით, მატყლის — 100 პროცენტით, მსხვილი ტყავის — 141 პროცენტით, წვრილი ტყავის — 110 პროცენტით და თივის — 101,8 პროცენტით.

ქართულ ენაზე გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება პარტიის XIX ყრილობაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ბროშურა: „ნ. ხრუშჩოვი. მოხსენება პარტიის XIX ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების ცვლილებათა შესახებ“.

ბროშურის ტირაჟია 30 ათასი ცალი. (საქდესი).

ქართულ ენაზე გამოიცა ნ. ა. ბულგანინის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ბროშურა: „ნ. ბულგანინი. სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე“.

ბროშურის ტირაჟია 30 ათასი ცალი. (საქდესი).

ქართულ ენაზე გამოიცა ა. ი. მიქოიანის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ბროშურა: „

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ოქტომბრის დიდება — ლენინ-სტალინის დიდება უძლეველია

აყვავებული და მძლავრი ეგებება ჩვენი საბჭოთა სამშობლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთხუთმეტე წლისთავს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი სულ ახალ და ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს კომუნიზმის გზაზე.

ოქტომბრის რევოლუციით წარმოშობილი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება მთელ მსოფლიოს უჩვენებს თავის უძლეველ ძალას, თავის უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე. საბჭოთა ადამიანების ბრძოლისა და შრომის დიადი შედეგები შეაჯამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ. XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და მისი სიტყვა ყრილობაზე საბჭოთა ხალხს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს უჩვენებენ ნათელი მომავლისაკენ მიმავალ გზას, ისინი კომუნიზმის მშენებლებს აღაფრთოვანებენ ახალი გამარჯვებებისათვის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში, მთელი მსოფლიოს ხალხებს აღაფრთოვანებენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ჩვენი ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს ლენინ—სტალინის დიად პარტიას. „ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის წესდებაში,— რომ აააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

ჩვენს პარტიას გზას უშუქებს ჩაუქრობელი შუქურა — მარქსიზმ-ლენინიზმი. ამხანაგი სტალინი—ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობი — შემოქმედებითად ავითარებს რევოლუციურ თეორიას.

მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, პარტიის მთელი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის ახალ გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ამ კლასიკურ შრომაში ყოველმხრივ გამოკვლეულია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონები, გამორკვეულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები, მითითებულია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები. ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი.

პარტიის XIX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კომუნისტური პარტიის პროგრამის გადამუშავებელ კომისიას ავალებს იხელმძღვანელოს ამხანაგ სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ძირითადი დებულებებით. სტალინის ამ გენიალური შრომის იდეები გვინათებენ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ წინსვლის გზას.

დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა, ლენინ—სტალინის დროშა, კომუნიზმის დროშა ამაყად დაჰფრიალებს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს.

I.

ოქტომბრის რევოლუციის სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში—სოციალიზმის ერა. ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, კაპიტალისტებს ჩამოართვა ფაბრიკები და ქარხნები, მემამულეებს — მიწა და ამით მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური წინაპირობები შექმნა ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთი გამოგლიჯა კაპიტალიზმის სისტემიდან, ბოლო მოუღო უცხოელი მილიარდერებისა და მილიონერების მოურიდებელ პარპაშს ჩვენს ქვეყანაში, იხსნა ჩვენი სამშობლო ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტთა მიერ დამონების საფრთხისაგან. ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები. მან გაათავისუფლა ცარიზმის მიერ ჩაგრული ხალხები, და ახლა ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალი სამყაროს მშენებლობაში.

ოქტომბრის რევოლუციის ძირითადი განსხვავება ყველა წარსული რევოლუციისაგან იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო მიანიჭა მშრომელებს პოლიტიკური თავისუფლება, არამედ პირობებიც შექმნა ხალხთა მასების კულტურული და შეძლებული ცხოვრებისათვის.

თავის კლასიკურ ნაშრომში „ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი“, რომელიც ოცდახუთი წლის წინათ არის დაწერილი, ამხანაგმა სტალინმა ღრმად და ყოველმხრივ ცხადყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, თუ რა შთამაგონებელი გავლენა მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე, კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლაზე, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდაზე.

„ოქტომბრის რევოლუციის **გამარჯვება**, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ნიშნავს ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიულ ბედში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ძირეულ გარდატეხას მთელი მსოფლიოს ექსპლოატირებული მასების ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის ფორმებში, ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში.

ამაშია იმის საფუძველი, რომ ოქტომბრის რევოლუცია არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია“ (თხზ., ტ. 10, გვ. 256).

დიდი ოქტომბრის რევოლუციის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო კომუნისტების პარტია მშრომელთა გენიალური ბელადების—ლენინისა და სტალინის მეთაურობით. მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული ჩვენი პარტია გაბედულად გაუძღვა რუსეთის მუშათა კლასს კაპიტალიზმზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად. ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლება გადავიდა საბჭოების ხელში და ამ ძალაუფლების მთავარი საფუძველია მუშებისა და გლეხების კავშირი.

ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ, როცა აღდგენილ იქნა სახალხო მეურნეობა, გაუძღვა საბჭოთა ხალხს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

ლენინ—სტალინის პარტიას ჩვენი ხალხი გამარჯვებისაკენ მიჰყავდა უვალი გზებით. მან გაანადგურა ტროცკისტები, ბუხარინელები, ზინოვიეველები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და მუშათა კლასის სხვა გამცემლები, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ქვეყანა კაპიტალიზმის რესტავრაციის გზაზე დაეყენებინათ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თავდადებული ბრძოლა მშრომელთა ინტერესებისათვის მსოფლიო პროლეტარიატის აღტაცებას იწვევდა და იწვევს.

მთელი მსოფლიოს მშრომელები ჩვენი პარტიის წარმატებებს, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მიღწევებს უკავშირებდნენ და უკავშირებენ კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლების თავიანთ იმედს. მათ ესმით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით, უადვილებენ მათ ბრძოლას საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მოძმე კომპარტიების ხელმძღვანელები, გამოხატავდნენ რა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის გრძნობებსა და სიყვარულს, ლენინის პარტიას მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელ ბრიგადას“ უწოდებდნენ.

თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგულმა ჩვენმა პარტიამ გაამართლა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა იმედები. მისი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, მოსპო ექსპლოატატორული კლასები და ამით დაამტკიცა, რომ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ აშენონ ახალი ცხოვრება, მართონ სახელმწიფო.

ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმნილი სოციალისტური წყობილება ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და მყარი წყობილება აღმოჩნდა მსოფლიოში. ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ურყევი ძლიერება განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა დიდი სამამულო ომის წლებში.

მშვიდობისა და სოციალიზმის მტრები — ამერიკელი მილიარდერები და მილიონერები, უსისინანებდნენ რა ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო ვერ გაუძლებდა ომის სიძნელეებს და დაიღუპებოდა გერმანიის ფაშიზმის მექანიზებული ურდოების დარტყმების შედეგად. მაგრამ მსოფლიო რეაქციის ამ გიჟურ გეგმებს შესრულება არ ეწერა.

ომიდან საბჭოთა სახელმწიფო — ოქტომბრის პირმშო — კიდევ უფრო მძლავრი და განმტკიცებული გამოვიდა. გიგანტურად გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

ხელმძღვანელობს რა ამხანაგ სტალინის მითითებებით, კომუნისტური პარტია დაუცხრომლად განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს როგორც საბჭოთა ხალხის მთავარ იარაღს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლაში. ჩვენი სამშობლო არასოდეს არ ყოფილა ესოდენ დიდი და მძლავრი, სასიცოცხლო ძალებითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, როგორც ამჟამად არის. ამაშია ჩვენი პარტიის, ჩვენი კიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის უდიდესი დამსახურება.

II.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით იბრძოდა და იბრძვის ამხანაგ სტალინის იმ გენიალურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, რომლებიც მან თავის 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიულ სიტყვაში მოგვცა.

XIX ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. მ. მალენკოვმა ნათლად გვიჩვენა საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უდიდესი მიღწევები და მრავალი მონაცემებიო გააშუქა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მუშაობის შესანიშნავი შედეგები.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება, მეოთხე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულება, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, საბჭოთა კავშირის გარშემო მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის მთელი ძალების მჭიდროდ დარაზმვა—ასეთია პარტიის მოღვაწეობის შესანიშნავი შედეგები, რომლებიც აღნიშნულია ამხანაგ მალენკოვის მოხსენებაში და რომლებიც ადასტურებენ პარტიის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის სისწორეს.

საბჭოთა მრეწველობა განუხრელად მიდის აღმავლობის გზით. 1929 წლიდან 1951 წლამდე სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის 13-ჯერ გადიდდა, მაშინ როცა უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოება კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიდა.

საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა მეოთხე ხუთწლედი. 1951 და 1952 წლებში მიღწეულია ახალი წარმატებანი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში. 1952 წელს დამზადებულ იქნება დაახლოებით 2,3-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1940 წელს.

ომისშემდგომ წლებში უდიდესი წარმატებები მოიპოვა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ. სწრაფი ტემპით აღდგენილ იქნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობები, გაიზარდა მოსავლიანობა, 1952 წელს ნათესმა ფართობებმა 5,3 მილიონი ჰექტარით გადააჭარბეს ომამდელ დონეს. წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა 8 მილიარდ ფუთს მიაღწია. ამრიგად, მარცვლეულის პრობლემა, რომელიც წარსულში ყველაზე მწვავე და დიდმნიშვნელოვან პრობლემად ითვლებოდა, გადაჭრილია საბოლოოდ და სამუდამოდ.

ჩვენი სოფლის მეურნეობა ემყარება მოწინავე საბჭოთა მიჩურინულ მეცნიერებას, აღმურვილია თანამედროვე მანქანებითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო პარკის საერთო სიმძლავრე ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდა 59 პროცენტით, კომბაინებისა — 51 პროცენტით.

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ბუნების გარდაქმნის დიად სტალინურ პროგრამას. გვალვიან ველებში უკვე წამოიზარდა მინდორსაცავი ტყეების მწვანე ზოლები. მწყობრში ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხი—კომუნიზმის გრანდიოზულ მშენებლობათა პირმშო. სულ უფრო ფართოვდება სამუშაოთა ფრონტი კუიბიშევისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე, წარმატებით მიმდინარეობს თურქმენეთის მთავარი არხის აგება. საბჭოთა ხალხი თავდადებული შრომით ქმნის კომუნიზმის მძლავრ საწარმოო-ტექნიკურ ბაზას.

მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობის თვალსაჩინო მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა. 1940 წლიდან 1951 წლამდე სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 83 პროცენტით გაიზარდა. თუ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ნაციონალური შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს მუქთახორა ექსპლოატატორები ითვისებენ, ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური შემოსავლის სამი მეოთხედი ხმარდება საბჭოთა ადამიანების პირად მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ხოლო დანარჩენი ნაწილი სოციალისტური წარმოების გაფართოებას და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საჭიროებებს.

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდების პოლიტიკას, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების გზით კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის გადიდების პოლიტიკას. ომისშემდგომ პერიოდში სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ხუთგზის შემცირების შედეგად ამ საქონლის ფასი ამჟამად საშუალოდ ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე 1947 წლის მეოთხე კვარტალში იყო.

სოციალისტური სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ახმარს სოციალურ დაზღვევას, მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის შენარჩუნებით შვებულების მიცემას, ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საჭიროებებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, მიაჩნიათ ისინი მასების კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებად.

შესრულება ახალი ხუთწლიანი გეგმისა, რომლის შედგენის დირექტივები დაამტკიცა პარტიის XIX ყრილობამ, დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ამხანაგ სტალინის მიერ აღმოჩენილმა და მის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მეცნიერულად დასაბუთებულმა სოციალიზმის ძირითადმა ეკონომიკურმა კანონმა. ამ კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი საზოგადოების მუდმივ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში მოპოვებული შესანიშნავი მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთხუთმეტე წლისთავს ლენინ-სტალინის პარტიის მიერ ერთიან ძმურ ოჯახად შემჭიდროებული საბჭოთა ხალხები. ყოფილი მეფის რუსეთის განაპირა კუთხეები, რომლებიც წარსულში ჩამორჩენილი იყვნენ, ახლა აყვავებულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გადაიქცნენ. ეს ხალხები უკვე დიდი ხანია არა მარტო დაეწივნენ, არამედ კიდევაც გაუსწრეს დასავლეთ ევროპის ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას, რომლებსაც თავიანთი „კულტურითა და ცივილიზაციით“ მოაქვთ თავი. მაგალითად, საბჭოთა უკრაინა ახლა გაცილებით მეტ თუჯს ადნობს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად. საბჭოთა უზბეკეთში ყოველ ათას ჰექტარ ნათესზე მოდის 14 ტრაქტორი, მაშინ როცა საფრანგეთში ასეთსავე ფართობზე მოდის 7 ტრაქტორი, ხოლო იტალიაში — მხოლოდ 4 ტრაქტორი.

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში ყოველ 10 ათას სულ მოსახლეზე მოდის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე 58 კაცი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში—60, ყირგიზეთში — 64, უზბეკეთში — 71, აზერბაიჯანში — 93, მაშინ როცა საფრანგეთში 10 ათას კაცზე მოდის უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ 36 მოსწავლე, დანიაში—34, იტალიაში—32, შვეიცარიაში—21, ეგვიპტესა და თურქეთში — 12, ირანში—3, ინდოეთში — 9 კაცი.

ეს ფაქტები ნათლად მოწმობს სოციალისტური წყობილების უდიდეს უპირატესობას.

საბჭოთა ხალხის მიერ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე მოპოვებული დიადი გამარჯვებანი საბჭოთა ადამიანების გულს აღავსებენ კანონიერი სიამაყით ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის, ლენინ—სტალინის დიადი პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისათვის.

საბჭოთა ხალხის მიერ მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებაში, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის აღმავლობაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებანი მოწმობენ ჩვენი ეკონომიკური წყობილების დაუშრეტელ ძალას, საბჭოთა საზოგადოების მზარდ ძლიერებას.

XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული კომუნისტთა პარტია საბჭოთა ხალხს მოუწოდებს იაროს წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ. იგი მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, იბრძოლონ თვითეული საწარმოს რიტმული მუშაობისათვის, საწარმოო გეგმებისა და დავალებების ზუსტად შესრულებისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მომჭირნეობის რეჟიმისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. ლენინ—სტალინის პარტია მოუწოდებს საბჭოთა გლეხობას ყოველმხრივ განამტკიცოს საკოლმეურნეო წყობილება, განავითაროს საარტელო მეურნეობა, თვალისჩინივით გაუფრთხილდეს საკოლმეურნეო დოვლათს.

რაზმავს რა საბჭოთა ხალხის მთელ ძალებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად, პარტია მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს გაბედულად განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გადაჭრით ებრძოლონ ნაკლოვანებებს მუშაობაში, ყოველივე იმას, რაც ჩვენს წინსვლას აფერხებს.

აფართოებს და განამტკიცებს რა თავის კავშირს მასებთან, პარტია აძლიერებს მუშაობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში. იგი საბჭოთა ადამიანებს ზრდის ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, სოციალიზმის საქმისადმი მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტია ყოველმხრივ ავითარებს მასების აქტივობას, ახსოვს რა, რომ საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგნება და შემოქმედებითი აქტივობა ყველა ჩვენი გამარჯვების საფუძველია.

III.

ომისშემდგომი პერიოდი იყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაძლიერების პერიოდი, იმპერიალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის მკვეთრი დასუსტების პერიოდი, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების სწრაფი ზრდისა და განმტკიცების პერიოდი.

კაპიტალიზმს ჩამოშორებულმა ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის მეთაურობით შეადგინეს ერთიანი მძლავრი სოციალისტური ბანაკი, რომელიც მთელი მსოფლიოს ყველა დემოკრატიული, პროგრესული ძალების მხარდაჭერით სარგებლობს. სოციალისტური ბანაკი დაპირდაპირებულია იმპერიალიზმისა და აგრესიის ბანაკისადმი, რომელსაც სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ახლა გახდნენ მსოფლიო რეაქციის ცენტრი, საიდანაც მომდინარეობს საფრთხე მშვიდობის საქმისადმი, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმისადმი. ამჟამად ამერიკის იმპერიალიზმი გამოდის უკვე არა მარტო როგორც აგრესორი, არამედ აგრეთვე როგორც მსოფლიო ჟანდარმი, რომელიც ცდილობს ჩაახშოს თავისუფლება ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, და დაამყაროს ფაშიზმი.

თავის მოხსენებაში XIX ყრილობაზე ამხანაგმა მალენკოვმა მოგვცა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ორი ხაზის ღრმა დახასიათება. ერთი ხაზია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშვიდობიანი ეკონომიკის განუხრელი მძლავრი აღმავლობის ხაზი. სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების ეკონომიკისათვის უცნობია კრიზისები და უძრაობა. მეორე ხაზია იმპერიალისტური ბანაკის ქვეყნების ხაზი. კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკა, რომელიც მომწყვდეულია სულ უფრო მზარდი საერთო კრიზისის მარწუხში, ერთ ადგილს ტკეპნის, ქვეყნის მილიტარიზაციისა და მასების გაღატაკების ხაზით მიდის.

საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა. სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე 1951 წელს გადაჭარბებულ იქნა: პოლონეთში — 2,9-ჯერ, ჩეხოსლოვაკიაში — 1,7-ჯერ, უნგრეთში — 2,5-ჯერ, რუმინეთში — 1,9-ჯერ, ბულგარეთში —4,6-ჯერ, ალბანეთში — 5-ჯერ და უფრო მეტად. დიდ წარმატებებს მიაღწია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკამ. სწრაფად ვითარდება დიდი ჩინეთის სახალხო მეურნეობა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1951 წელს ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა 1949 წელთან შედარებით.

ორი მოწინააღმდეგე ბანაკის შექმნის შედეგად ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზარი დაიშალა. შეიქმნა ორი პარალელური მსოფლიო ბაზარი: მშვიდობიანი დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ბაზარი და აგრესიული იმპერიალისტური ბანაკის ქვეყნების ბაზარი. ამან კიდევ უფრო გააძლიერა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავება, გაამწვავა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობა. კაპიტალისტური მეურნეობის მსოფლიო სისტემა უფრო სუსტი და მერყევი გახდა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინ იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები კრიზისიდან გამოსავალს ეძებენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებაში. ისინი ცდილობენ ეკონომიკური სიძნელეები შეარბილონ გამალებული შეიარაღებით, მთელი ეკონომიკის მილიტარიზაციით. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის იმპერიალისტებმა, რომლებმაც სისხლისმღვრელი, რეაქციული ომი გააჩაღეს კორეაში და აღვივებენ საომარ ისტერიას დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ, უმაგალითოდ გაზარდეს სამხედრო წარმოება და სამხედრო ხარჯების სიმძიმე მშრომელ მასებს დააკისრეს.

ამერიკელი იმპერიალისტები, ოქტომბრის რევოლუციის, ჩვენი ხალხის, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მოსისხლე მტრები, ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, ამზადებენ მსოფლიო რეაქციის ლაშქრობას დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ. იმპერიალისტური ბანაკის ქვეყნებში ომისათვის მზადებას ერთვის გაფთრებული შეტევა დემოკრატიულ თავისუფლებებზე, მთელი სახელმწიფო აპარატის ფაშიზაცია.

ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის გიჟური გეგმების განხორციელებას წინ ეღობება დიდი სოციალისტური სახელმწიფო.

ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა ხალხებს შორის მშვიდობისათვის ბრძოლის დროშით. ამჟამად მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე მძლავრი მოძრაობაა. ხალხებს არა სურთ ომი, ისინი სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებიან მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამხანაგ სტალინის — მშვიდობის დიდი მეედროშის — მოწოდება მშვიდობის საქმის დაცვის შესახებ მხურვალე გამოხმაურებას პოულობს მსოფლიოს ყველა უბრალო და პატიოსანი ადამიანის გულში.

მშვიდობის მომხრეთა მძლავრ ბანაკს სათავეში უდგას საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალში იშვა. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ ამხილებს ომის გამჩაღებლებს. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო დგას მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადარაჯოზე, მას არ ეშინია ომის გამჩაღებელთა მუქარისა, იგი მტკიცედ არის დარწმუნებული თავის ძალასა და ძლიერებაში, სოციალისტური ბანაკის ძლიერებაში, ბანაკისა, რომელსაც ძალუძს გაანადგუროს იმპერიალისტთა ყოველი აგრესიული დაჯგუფება.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ლენინ—სტალინის პარტია მუდამ ეყრდნობოდა მომძმე კომპარტიების დახმარებასა და მხარდაჭერას, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის თანაგრძნობას. ამ თანაგრძნობაში ჩვენი პარტია ხედავდა და ხედავს სხვა ქვეყნების მშრომელთა მზადყოფნას მხარი დაუჭირონ ჩვენს პარტიას ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, ომის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი პარტიისადმი, მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი ყველა ქვეყნის მშრომელთა სიყვარულის ახალი მკაფიო დემონსტრაცია იყო საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე. მათ ყრილობის ტრიბუნიდან ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მათი პარტიები ლენინ—სტალინის პარტიის მაგალითით სწავლობენ მასების დარაზმვას დემოკრატიულ თავისუფლებათა, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად. ისინი ამბობდნენ, რომ მათი ხალხები არასოდეს არ იომებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა პარტიის XIX ყრილობაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში აღნიშნა:

„ურთიერთმხარდაჭერის ეს თავისებურება იმით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, უერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან“.

თავის სიტყვაში ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით შეეხო იმ კომუნისტური, დემოკრატიული თუ მუშურ-გლეხური პარტიების მოღვაწეობას, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება და რომლებიც მუშაობას განაგრძობენ ბურჟუაზიული დრაკონული კანონების პირობებში. ამხანაგმა სტალინმა რწმენა გამოთქვა, რომ ეს პარტიები რუსეთის კომუნისტების უმდიდრეს გამოცდილებაზე დაყრდნობით დასძლევენ სიძნელეებს თავიანთ გზაზე და მიაღწევენ გამარჯვებას. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა უდიდესი მნიშვნელობა ამ პარტიების ბრძოლისა დემოკრატიულ თავისუფლებათადამი, თავიანთი ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტისათვის.

ამხანაგ სტალინის სიტყვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი პროგრამაა, ყველა საბჭოთა ადამიანის, ყველა ქვეყნის მშრომელების მოქმედებისათვის შთამაგონებელი სახელმძღვანელოა მათს კეთილშობილურ ბრძოლა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთავრობამ უკვე მაშინ, 1947 წელს, მოითხოვა, პირველ რიგში, განხორციელებულიყო ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის:

1. კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნა კორეის დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობის საფუძველზე, რათა დაჩქარებულიყო კორეის, როგორც თავისთავადი და უცხოეთის ჩარევისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს, პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, რაც მოსპობდა ამ ქვეყნის ორ ზონად გაყოფას.

2. მთელ კორეაში საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე თავისუფალი არჩევნების გზით ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოების შექმნა.

3. დახმარების გაწევა კორეელი ხალხისათვის კორეის, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს, აღორძინებაში და ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა განახლებულიყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობა კორეის შესახებ მოსკოვის შეთანხმების ზუსტი შესრულების საფუძველზე და არა უგვიანეს 1947 წლის ივლის-აგვისტოსი ერთობლივ კომისიას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა განსახილველად წარედგინა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხზე რეკომენდაციების შემუშავების საქმეში თავისი მუშაობის შედეგი.

გენერალური ასამბლეის მეორე სესიის წინ ერთობლივ კომისიაში საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც ისწრაფოდა დაეჩქარებინა მუშაობა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შესაქმნელად, მიიღო ამერიკის დელეგაციის წინადადება — არ გაეწიათ სიტყვიერი კონსულტაცია კორეის დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რაკი ამან უთანხმობა გამოიწვია აღნიშნულ კომისიაში, და შეიტანა ახალი წინადადება, რომ საკონსულტაციო ორგანოს სახით შექმნილიყო სრულიად კორეის დროებითი სახალხო კრება მთელი კორეის დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. ამერიკის დელეგაციამ ეს წინადადებანი უარყო.

ასე იყო საქმე იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა ჩაეშალა საბჭოთა კავშირთან კორეის საკითხში შემდგომი თანამშრომლობა მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და უფრო გაბედულად ეწარმოებინა მუშაობა კორეის გათიშვის განსამტკიცებლად და თავისი რეაქციული, აგრესიული გეგმების განსახორციელებლად.

აი რა იყო იმის ნამდვილი მიზეზი, რომ კორეის შესახებ არსებულ საერთაშორისო შეთანხმებათა წინააღმდეგ გენერალურ ასამბლეაში დაისვა კორეის საკითხი.

ბ-ნმა აჩესონმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოანდომა იმას, რომ სცადა ჩრდილოეთ კორეელებისათვის, ხოლო მათთან ერთად საბჭოთა კავშირისათვის ბრალად დაედო ძირგამმთხრელი მუშაობა სამხრეთ კორეაში, რომლის მიზანი თითქოს არის ლი სინ მანის მთავრობის დამხობა. ამასთან მან აღნიშნა ის განსაკუთრებული ყურადღება, რასაც საბჭოთა კავშირი მაშინ აქცევდა იმ კორეელთაგან სათანადო კადრების მომზადებას, რომლებიც საბჭოთა კავშირის მომხრე იყვნენ და პასუხსაგები პარტიული და სახელმწიფო პოსტები ეკავთ ჩრდილოეთ კორეაში. ამასთან, რა თქმა უნდა, მან მიმართა სახელმწიფო დეპარტამენტისათვის ჩვეულ მტრულ გამოხდომას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბჭოთა საიდუმლო პოლიციის შესახებ, რომელიც თითქოს ჩრდილოეთ კორეაში მოქმედებდა, და ჩრდილოეთ კორეის მთავრობაზე „საბჭოთა ბატონობის“ შესახებ.

საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად უნიადაგო და უაზრო ასეთი განცხადებანი. ამ თემაზე ლაპარაკის განგრძობით ბ-ნი აჩესონი ცდილობდა საზოგადოებრივი აყურადღება ჩამოეშორებინა იმ ანტიდემოკრატიული მეთოდებისათვის, რომელთა დახმარებითაც ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ კორეაში მოქმედებდნენ, ეყრდნობოდნენ რა თავიანთ აგენტურას კორეის ყველაზე რეაქციული კლასის — მსხვილი მემამულე-ნახევრად ფეოდალების წარმომადგენელთაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ იაპონიის კოლონიური ბატონობის ბურჯს და რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად ეხმარებოდნენ იაპონელ კოლონიზატორებს დაემონებინათ კორეა, კორეაში იაპონელთა ხიშტების მფარველობით ძარცვავდნენ, აჩანაგებდნენ კორეელ ხალხს.

ეს უნდა ითქვას ისეთ თავგამოდებულ იაპონელ აგენტებზე, როგორიც არიან კორეის ცნობილი „საფეიქრო მეფეები“ და მსხვილი მემამულეები —კიმ სონ სუ და კიმ იონ სუ, როგორიცაა საავიაციო კომპანიის მფლობელი პაკ ხინ სიკი და მათი მომხრე რეაქციონერ მოხელეთა წარმომადგენლები, რომლებმაც ეროვნული ღალატის ფასად შეიძინეს კოლონიურ აპარატში სამსახურის უფლება.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1945 წლის ოქტომბერში ამერიკის შეერთებული შტატებიდან თვითმფრინავით სასწრაფოდ ჩაიყვანეს სამხრეთ კორეაში ლი სინ მანი, რომლის მთელი მოღვაწეობა საკმაო მჭევრმეტყველებით მოწმობს ამ პირწავარდნილი ფაშისტის პოლიტიკურ ფიზიონომიას.

აჩესონი აქ ცდილობდა ჩრდილი მიეყენებინა ზოგიერთი პატიოსანი კორეელი პატრიოტისათვის, რომლებმაც თავიანთი ძალები და სიცოცხლე მოანდომეს და ანდომებენ კორეელი ხალხის კეთილდღეობას, რომლებიც მუდამ ცდილობენ განამტკიცონ მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. ასეთი ადამიანები მუდამ პოულობენ და კვლავაც იპოვნიან სრულ ნაცვალგებას საბჭოთა ადამიანებში, რომლებიც მუდამ იცავენ მეგობრობას სხვა ქვეყნების პროგრესულ მოღვაწეებთან, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სამშობლოს კანონიერი ეროვნული ინტერესებისათვის, დემოკრატიული გარდაქმნისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მაგრამ რა უნდა ითქვას ლი სინ მანზე, კორეის იმპერატორის საიდუმლო საბჭოს ყოფილ წევრზე, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა მოღალატე პროიაპონურ ელემენტებთან, და რომელსაც ჯერ კიდევ 1898 წელს მიესაჯა სამუდამო კატორღა, რასაც მან თავი დააღწია მხოლოდ კორეაში იაპონელი დესპანის მფარველობით?

ცნობილია, რომ 1904 წელს ლი სინ მანი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საიდანაც 1910 წელს, იაპონელთა მიერ კორეის ანექსიის შემდეგ, დაბრუნდა და კვლავ შეუდგა იაპონელი იმპერიალისტი ბატონების სამსახურს. შემდეგ იგი კვლავ საქმიანობს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მლიქვნელობით იმსახურებს ნდობას ახალი ბატონების წინაშე. 1920-22 წლებში იგი იყენებს თავის გავლენას და ცდილობს კორეა მოაქციოს ამერიკის შეერთებული შტატების სამანდატო მმართველობაში.

ასეთი კაცი, რა თქმა უნდა, საჭირო იყო ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთათვის, რომლებმაც იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ, როცა მხარს უჭერდნენ ლი სინ მანს, რომელიც დახელოვნებულია კოლონიური მართვის ოსტატობაში, რაც წარმოადგენს ხალხთა ჩაგვრის სისტემის შეერთებას უმაგალითო მხეცობასთან, რომელსაც ერთვის ხალხთა მასების ძარცვა და ბარბაროსული ექსპლოატაცია.

ლი სინ მანი გამონაკლისს როდი წარმოადგენს. სამხრეთ კორეის ხელმძღვანელ წრეებში იყვნენ კიდევ ისეთი წყალწაღებული რეაქციონერები, როგორიც არიან, მაგალითად, ლი ბუმ სუკი, რომელიც ამავე დროს იყო ფაშისტური ორგანიზაციის „კორეის ეროვნული ახალგაზრდობის“ ლიდერი; საგარეო საქმეთა მინისტრი—სეულის პოლიციის ყოფილი უფროსი ჩან ტიაკ სანი, რომელმაც დამრბევის სავალალო სახელი მოიხვეჭა; საზოგადოებრივ საშუშაოთა მინისტრი—ჩონ ძინ ხანი, რეაქციულ პროფკავშირთა ხელმძღვანელი; იუსტიციის მინისტრი — იაპონიის სასამართლოს ყოფილი მოხელე ლი ინი; შინაგან საქმეთა მინისტრი იუნ ჩი ენი, წარსულში კორეაში პროიაპონური ორგანიზაციების აქტიური მოღვაწე.

ყველა ამ ბატონებთან, აშკარა და ფარულ კოლაბორაციონისტებთან, იაპონელ აგენტებთან ამერიკის ხელისუფალთ უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ, რასაც ჯერ კიდევ 1945 წელს იუწყებოდა ლონდონის ჟურნალი „ნიუ სტეიცმენ ენდ ნეიშნი“. ამ ეგრეთწოდებული მთავრობის დახმარებით ამერიკელმა მონოპოლისტებმა დაიწყეს სამხრეთ კორეიდან მისი სიმდიდრის: ვოლფრამის, მოლიბდენისა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის იშვიათი ლითონების ენერგიულად გატანა, რითაც დიდალ ფულს იძენენ.

ამავე დროს კატასტროფულად გაუარესდა სამხრეთ კორეის გლეხობისა და მშრომელი მასების მდგომარეობა. განუწყვეტლივ იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, რომელიც დროდადრო 2 მილიონსა და თითქმის 3 მილიონს აღწევდა. გლეხები გაჭირვებაში იყვნენ, სულს ღაფავდნენ უზომო საიჯარო ქირის, გადასახადების, ყოველგვარი გამოსაღების აუტანელი სიმძიმის ქვეშ. 1944-დან 1947 წლამდე ნათესი ფართობი 31 პროცენტით შემცირდა და დაახლოებით ამდენითვე შემცირდა ბრინჯის მოსავალი. სამხრეთ კორეა, რომელიც მთელი კორეის ბეღელია, სურსათის მწვავე ქრონიკულ ნაკლებობას განიცდიდა, ხოლო მისი მოსახლეობის ხვედრი შიმშილი და სიღატაკე იყო. სამაგიეროდ იზრდებოდა კოლონიზატორთა მოგება და მემამულეთა შემოსავალი.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო უარესდებოდა ხალხის მდგომარეობა სამხრეთ კორეაში. ამას ვერ მალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის კომისიაც, რომელმაც 1948 წლის პირველი ნახევრის შესახებ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ სამხრეთ კორეაში მოქმედებენ „ფაქტორები, რომლებიც კვლავ დამანგრეველ გავლენას ახდენენ სამხრეთ კორეის ეკონომიკაზე“, ხოლო 1949-1950 წლის (4.IX-მდე) შესახებ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „1949 წლის განმავლობაში ფინანსური მდგომარეობა სამხრეთ კორეაში კვლავ განუწყვეტლივ უარესდებოდა“. ასეთი გაუარესების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც კომისია ამტკიცებს, იყო უზარმაზარი დამატებითი ხარჯები პოლიციისა და არმიის შესანახავად, რომლებიც ახშობენ ხალხის აღშფოთებას ლისინმანური რეჟიმის წინააღმდეგ, რეჟიმისა, რომელიც სძულს არა მარტო კორეელ ხალხს, არამედ სამხრეთ კორეის საზოგადოების იმ წრეების მნიშვნელოვან ნაწილსაც კი, რომლებიც იძულებული იყვნენ ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა ზეგავლენით ეთანამშრომლათ ლი სინ მანთან. მოსახლეობის კვების ძირითადი საგნის — ბრინჯის ფასის განუწყვეტელი ზრდა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია აღიარებს, — „აშინებდა და აღელვებდა საშუალო მოქალაქეს“.

სამარცხვინოდ ჩაიფუშა აგრეთვე ეგრეთწოდებული „ეკონომიკური სტაბილიზაციის“ ამერიკული პროგრამა, რომლის განხორციელებას სამხრეთ კორეაში ამერიკელი ხელისუფალნი ცდილობდნენ 1950 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში. ლისინმანელ ხელისუფალთა კორუფცია, ქურდობა, მექრთამეობა ღრღნიდა და ძირს უთხრიდა მთავრობის აპარატს. ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი შეწირვების“ პრაქტიკა, რაც სინამდვილეში ნიშნავდა იძულებითს უკანონო ბეგარას პოლიციისა და არმიის სასარგებლოდ და რაღაც „ასოციაციების“ სასარგებლოდაც კი, რომლებიც ლი სინ მანის მთავრობის მფარველობით სარგებლობდნენ, იწვევდა ისეთ უხეშ ბოროტმოქმედებებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიასაც კი არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ, როგორც ნათქვამია მის მოხსენებაში, ეს პრაქტიკა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საგადასახადო სისტემის მთელ სტრუქტურას.

ბ-ნმა აჩესონმა ამჯობინა არაფერი ეთქვა ამაზე, რადგან ასეთი ფაქტები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიასაც კი აქვს აღნუსხული, ამხილებდნენ კორეის იმ ისტორიის უხეშ გაყალბებას, რომლის გაშუქებას შეგვპირდა ამერიკის შეერთებული შტატების ბ-ნი სახელმწიფო მდივანი. ასეთი ფაქტები ხელს შეუშლიდნენ ბ-ნ აჩესონს ხოტბა შეესხა ლისინმანური რეჟიმისათვის, დაემალა ის ზიანი, რომელიც სამხრეთ კორეის ხალხს მიაყენა ამ რეჟიმმა, ამერიკელ ხელისუფალთა მფარველობით რომ გაიფურჩქნა.

თუ ზემონათქვამს დავუმატებთ მოსახლეობის დემოკრატიულ მისწრაფებათა ყოველგვარი გამოვლინების სასტიკად ჩახშობის იმ ღონისძიებებს, რომლებიც სამარცხვინო ლაქად აჩნევია ლისინმანურ რეჟიმს, მაშინ სრული პოლიტიკური მარაზმის სურათი ნათელი იქნება ისე, რომ განსაკუთრებულ განმარტებას არ მოითხოვს.

ბ-ნ აჩესონს, როგორც ჩანს, სავსებით აკმაყოფილებს სამხრეთ კორეაში არსებული პოლიტიკური წესები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის ამ უაღრესად მორჩილმა კომისიამაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირად ცდილობდა შეეფერადებინა საშინელი სურათი, ვერ შეძლო დაემალა ფაქტები, რომლებიც სავსებით ამხილებენ ლისინმანურ რეჟიმს, როგორც პირწავარდნილი რეაქციის რეჟიმს, როგორც ნამდვილ ფაშისტურ რეჟიმს. კომისიის მოხსენებაში, რომელიც V სესიას წარედგინა, კომისიამ ვერ შეძლო უარეყო, მაგალითად, ის გარემოება, რომ 1950 წლის აპრილ-მაისში საარჩევნო კამპანიის დროს დაიპატიმრეს 200-მდე დემოკრატი ამომრჩეველი, რომლებზეც ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი მხარს უჭერენ, ან ეკუთვნიან, ან თანაუგრძნობენ სამხრეთ კორეის მუშათა პარტიას, რომელიც აკრძალულია ამერიკელ ხელისუფალთა დასტურით გამოცემული ეროვნული უშიშროების უბადაღებული კანონის საფუძველზე.

„... კანდიდატების ბევრ მომხრეს— მე მომყავს აღნიშნული კომისიის მოხსენების ამონაწერი — ემუქრებოდნენ და კიდევაც სცემდნენ დაშინების მიზნით როგორც პოლიციის მოხელეები, ისე სხვა უცნობი პირებიც... საკმაოდ ბევრმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, რაც, ალბათ, მოწმობს, რომ მათზე ზეგავლენას ახდენდნენ“. ზოგიერთი პირის დაპატიმრებით აშკარად დაარღვიეს საარჩევნო კანონის 117 მუხლი.

თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის დასახასიათებლად უნდა ითქვას, რომ ამ კომისიამ, რომელმაც აღნიშნა საარჩევნო კანონისა და ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევა, დასასრულ მაინც ცნო, რომ არჩევნების ორგანიზაცია ქების ღირსი იყო და საარჩევნო კამპანიაში ხელისუფალთა არავითარი უკანონო ჩარევა არ მომხდარა! აბა, ეს რა დასაჯერებელია!

მას შემდეგ მდგომარეობა არათუ არ შეცვლილა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა და გამწვავდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის მოხსენებაში (მოხსენება A/2187), რომელიც გენერალური ასამბლეის VII სესიას წარედგინა, იპოვნით ბევრ ფაქტს, რომლებიც მოწმობენ, რომ სამხრეთ კორეაში კიდევ უფრო მეტ აღვირახსნილ უკანონობას სჩადის ლი სინ მანის მთავრობა, რომელიც მოურიდებლად მიმართავს რეპრესიებს ყველას წინააღმდეგ, ვისზედაც ეჭვი აქვს, რომ დემოკრატიულ შეხედულებებს იზიარებს.

სამხრეთ კორეის ეგრეთწოდებული ეროვნული კრებაც კი ოპოზიციაში ჩაუდგა ლი სინ მანს!

„დროთა განმავლობაში, — ნათქვამია ამ მოხსენებაში რუსული ტექსტის 39-18 გვერდზე, — ეროვნული კრების ბევრი წევრი იმდენად აღაშფოთა პრეზიდენტის თვითნებურმა, მათი აზრით, პირადმა გამგებლობამ, რომ მათ უარი თქვეს ხმა მიეცათ კონსტიტუციის რაიმე შეცვლისათვის, სანამ არ გამოუყენებიათ თავიანთი ხმის უფლება, რათა აირჩიონ სხვა ვინმე ლი სინ მანის ნაცვლად“. ლი სინ მანსა და ეროვნულ კრებას შორის გააფთრებული ბრძოლა წარმოეს.

1952 წლის მაისში ლი სინ მანმა პუსანში გამოაცხადა სამხედრო წესები. მეორე დღეს ეროვნული კრების წევრთა საერთო რიცხვიდან—183 კაციდან 50-ზე მეტი წევრი დააპატიმრეს, ეროვნული კრების წევრთა ნაწილი დაპატიმრების შიშით მიიმალა, და შედეგად, როგორც კომისიის მოხსენებიდან ჩანს, ეროვნულ კრებას აღარ შეეძლო გაემართა სხდომები, რადგან არ იყო ქვორუმი. როცა ეროვნული კრების წევრებმა შეწყვიტეს სხდომებზე დასწრება, პოლიციას ლი სინ მანის ბრძანებით ძალით მოჰყავდა დეპუტატები ეროვნულ კრებაში, ჩაკეტილი ჰყავდა ისინი და აიძულებდა მიეღოთ ლი სინ მანისათვის სასურველი გადაწყვეტილებანი.

სამხრეთ კორეაში არსებული მდგომარეობის დახასიათება რომ მოვათავოთ, საკმარისია მივმართოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის კომისიისავე მოხსენებებს, რომლებიდანაც, მიუხედავად კომისიის ცდისა ყოველნაირად მიჩქმალოს ლისინმანური რეჟიმის დანაშაულობათა საზარელი ხასიათი, ჩანს, თუ რა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ამ რეჟიმმა ხალხი სამხრეთ კორეაში, როგორ სძულს მას ლისინმანური ხროვისა და მის მფარველთა ბატონობა. ამაზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საკმარისია გავეცნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება 1950 წლის დეკემბერში ხონჯაი ლისა და კუხჩანში მომხდარ მასობრივ დახვრეტებს. თვით სამხრეთკორეელ ხელისუფალთა ოფიციალური ცნობიდან ჩანს, რომ 1950 წლის 1 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე სიკვდილი მიუსაჯეს 391 კაცს, რომლებზეც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი, რომ ისინი უკმაყოფილო არიან ლი სინ მანის მთავრობით და თანაუგრძნობენ პარტიზანებს. ამ ცნობიდან ჩანს, რომ სიკვდილით დასჯილთა შორის იყვნენ ქალებიც და ბავშვები.

ზემოთქმულთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კომისიის სამარცხვინო საქციელს, კომისიისა, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია ეწოდება. ეს კომისია ხედავდა საშინელ სიკვდილით დასჯას, მასობრივ დახვრეტას, რასაც ლი სინ მანის მთავრობა სჩადიოდა, მაგრამ ნება მისცა თავს ლი სინ მანის მთავრობის „ლმობიერების აქტად“ ჩაეთვალა მისი გადაწყვეტილება — ამერიდან ყველა სიკვდილით დასჯა აწარმოოს ერთეულებად და არა ჯგუფებად.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ეს მოხსენება წარმოადგინა კომისიამ, რომელშიც შედიან ავსტრალიის, ჰოლანდიის, პაკისტანის, ტაილანდის, თურქეთის, ფილიპინებისა და ჩილის წარმომადგენლები.

1951 წელს სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით სიკვდილით დასჯეს, როგორც კომისიის მოხსენებაშია ნათქვამი, სამხრეთ-აღმოსავლეთ კორეაში კუხჩანის მახლობლად მდებარე სოფელ შინ ვუნ მიუნის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებსაც ბრალად დასდეს პარტიზანთა რაზმებთან თანამშრომლობა და მათთვის დახმარების გაწევა. ამბები, როგორც ისინი ჩამოყალიბებულია მოხსენებაში, იმით იწყებოდა, რომ ჯერ კიდევ 1950 წლის ივნისში სამხრეთ კორეის პოლიცია რამდენჯერმე შეეცადა გაენადგურებინა ეს სოფელი, მაგრამ უშედეგოდ. და მხოლოდ 1951 წლის თებერვალში სამხრეთ კორეის საარმიო დივიზიის ბატალიონი და პოლიციელთა რაზმები თავს დაესხნენ ამ სოფელს, მაგრამ წააწყდნენ კარგად შეიარაღებული რამდენიმე ასეული პარტიზანის წინააღმდეგობას, რომლებსაც მხარს უჭერდნენ 500 შეუიარაღებელი პარტიზანი და სოფლის მცხოვრებნი. ბრძოლამ 10 საათს გასტანა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ სოფლის მცხოვრებნი პარტიზანებს ეხმარებოდნენ. მათ ბეღლებში და კერძო სახლებში მოაწყეს პარტიზანთა სამალავები.

„სოფლის მცხოვრებთა და კომუნისტთა შორის, — ნათქვამია მოხსენებაში, — ხდებოდა ფორმალური ქორწინება. ბრძოლის დროს სოფლის მცხოვრებლებმა უარი თქვეს საზრდოთი მოემარაგებინათ პოლიცია, როცა მათ ამას სთხოვდნენ, პარტიზანებისადმი კი იჩენდნენ თანაგრძნობას და სასურსათო პროდუქტებს სთავაზობდნენ. ყველა ეს ფაქტი უეჭველად იმას მოწმობს, რომ სოფლის მცხოვრებლებსა და კომუნისტ პარტიზანებს შორის არსებობდა თანამშრომლობა, რაც უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა ჯარის ნაწილების საომარი ოპერაციებისათვის, — ნათქვამია მოხსენებაში. — სოფლის ადგილობრივ მცხოვრებთა ასეთი მოპყრობით გამხეცებული ჯარი და პოლიცია განაგრძობდა ცხარე ბრძოლას და დახოცა 200-მდე კომუნისტი, მათ შორის სოფლის ის მცხოვრებნიც, რომლებიც პარტიზანებთან თანამშრომლობდნენ“.

ეს ხოცვა-ჟლეტა არ იკმარა სამხრეთ კორეის სადამსჯელო ბატალიონის მეთაურმა და კუხჩანის პოლიციის სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსთან ერთად ადგილობრივ დახვრიტა სოფელ შინვუკის 187 მცხოვრები.

კუხჩანის უიარაღო გლეხების გმირული ბრძოლა ლისინმანელთა პოლიციისა და ჟანდარმების წინააღმდეგ, რომლებიც რამდენიმე ასეული პარტიზანის ლიკვიდაციას ცდილობდნენ, თვით ლისინმანელთა პოლიციის აღიარება, რომ ამ სოფლის მცხოვრებთა და პარტიზანთა შორის თანამშრომლობა და ძმური მეგობრობა არსებობდა — იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ სამხრეთ კორეაში ლისინმანური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ხალხის ფართო მასებში ღრმა ფესვები აქვს.

პარტიზანული მოძრაობა სამხრეთ კორეაში იყო ლისინმანური რეჟიმის წინააღმდეგ იმ პროტესტის შედეგი, რომელმაც სამხრეთ კორეის ხალხის ფართო მასები მოიცვა, პროტესტისა ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა წინააღმდეგაც, რომლებიც ამ რეჟიმს მფარველობას უწევენ.

ფაშისტურმა ლისინმანურმა რეჟიმმა, რომელიც თავისი ძლიერი უცხოელი მფარველების მხარდაჭერას ემყარებოდა, გააჩაღა ყველა რამდენადმე პროგრესული, დემოკრატიულად განწყობილი ადამიანის ულმობელი დევნა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია თავის მოხსენებაში აღიარებს, რომ ზოგიერთის დაპატიმრებას თან ახლდა წამება და რომ ხშირად კორეელ მოქალაქეებს მხოლოდ იმის გამო აპატიმრებდნენ, რომ ისინი აკრიტიკებდნენ ამერიკელებს. განა გასაკვირველია, რომ ასეთმა მდგომარეობამ ყველგან გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება, პარტიზანული მოძრაობის ზრდა სამხრეთ კორეაში. ეს არ შეიძლებოდა აგრეთვე არ გამხდარიყო სერიოზული დაბრკოლება ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის მომზადების საქმეში.

ბ-ნი აჩესონი აღნიშნავდა, რომ კომუნისტური პარტიის საქმიანობა ჩრდილოეთ კორეაში მიზნად ისახავდა ძირი გამოეთხარა სამხრეთ კორეის მთავრობისათვის. მაგრამ ნამდვილად სამხრეთ კორეის მთავრობის ავტორიტეტისათვის არაფერს არ შეეძლო ისე გამოეთხარა ძირი, როგორც იმ სასტიკ, არაადამიანურ რეაქციულ პოლიტიკას, რასაც ახორციელებდა ეს მთავრობა, რომელიც აშკარა ომს ეწევა თავის საკუთარ ხალხთან.

ბ-ნი აჩესონი თავის გამოხდომაში ჩრდილოეთ კორეის მთავრობის წინააღმდეგ იქამდე მივიდა, რომ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ ჩრდილოეთ კორეელთა წინადადებაც კი აგრესიულ ღონისძიებათა ფორმად გამოაცხადა...

მაგრამ მხოლოდ უკიდურესი გაბრაზების მდგომარეობაში შეიძლება სამშვიდობო წინადადებანი აგრესიულ განზრახვად მიიჩნიონ!

მართლაც, ბ-ნი აჩესონი რატომ უვლის გვერდს ლი სინ მანისა და სამხრეთ კორეის სხვა პოლიტიკურ ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირდაპირ საწინააღმდეგო აშკარად აგრესიულ განცხადებებს? ნახეთ, რას აცხადებდნენ ეს ვაუბატონები ჩრდილოეთ კორეაზე მათ მიერ მოწყობილი თავდასხმის ცოტა ხნით ადრე. გენერალური ასამბლეის V სესიისადმი ამ კომისიის 1949 წლის მოხსენებაში ამის შესახებ შეიძლება შემდეგი წავიკითხოთ: „მაგრამ კომისიამ აღნიშნა, რომ დროდადრო პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი და სხვა თვალსაჩინო და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეები აკეთებდნენ განცხადებებს, რომლებშიც გამოთქვამდნენ აზრს, რომ მორს აღარ არის ის დრო, როცა სასოწარკვეთილების გამო იძულებული გახდებიან მიმართონ ძალით გაერთიანებას, როგორც უკანასკნელ გადაწყვეტილებას“. მაგალითად, გენერალური ასამბლეის მიერ კორეის რესპუბლიკის მთავრობის ცნობის პირველ წლისთავზე, საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვა „იმედი, რომ მოსახლეობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა გააუქმოს საზღვარი 38-ე პარალელზე, ისე რომ განახორციელოს მთელი კორეის გაერთიანება მომავალი წლის 12 დეკემბრისათვის. გვაქვს რა მხედველობაში ეს მიზანი, საჭიროა, რომ ხალხმა მტკიცედ გადაწყვიტოს ეს და მზად იყოს სისხლი დაღვაროს ამ მიზნისათვის“. პრეზიდენტმა ლი სინ მანმა 1949 წლის 30 დეკემბერს პრესკონფერენციაზე აგრეთვე განაცხადა: „ჩვენ უნდა მივაღწიოთ გაერთიანებას ახალ წელიწადში, და მწამს, რომ ჩვენ შევძლებთ... ჩვენ მოთმინებით გვეკავა პოზიცია, რაც ნაკარნახევი იყო სურვილით ვითანამშრომლოთ გაერთიანებული ერების-ორგანიზაციასთან. ჩვენ განვაგრძობთ ღონისძიებებს მივაღწიოთ გაერთიანებას კორეელ ხალხში ურთიერთგაგების გზით, მაგრამ როცა დადგება აუცილებელი მომენტი, ჩვენ ალბათ თავიდან ვერ ავიშორებთ სისხლისღვრასა და სამოქალაქო ომს. თუ, სამწუხაროდ, ამ წლის მანძილზე ვერ შევძელით გაერთიანება, იძულებული გავხდებით მთელი ჩვენი მიწა-წყალი საკუთარი ღონისძიებებით გავაერთიანოთ“.

1950 წლის თებერვალში სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრმა კაპიტანმა სინ სენ მომ აშკარად განაცხადა: „თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ვერ მოახერხა ამოძრაოს კორეას მის სხეულში ჩასობილი ეს „ხანჯალი“ — რაც მან დღემდე ვერ ქნა, —მაშინ კორეელ ხალხს თვითონ მოუხდება მიიღოს საკუთარი ღონისძიებანი და გამოიყენოს ძალა ამის მისაღწევად“.

თუ ბ-ნ აჩესონს დღემდე საკმაო დრო არა ჰქონდა, რომ როგორც რიგია ისე შეესწავლა კომისიის მოხსენება კორეის შესახებ, შესაძლებელია ახლა იშოვნოს რამდენიმე საათი, რათა გაეცნოს ასეთ განცხადებებს და დაფიქრდეს, თუ რას ნიშნავს ეს. ეს დახმარებას გაუწევს აგრეთვე გაერკვეს იმ საკითხში, თუ როგორ და რატომ მოხდა 1950 წლის 25 ივნისის ამბები.

ბ-ნმა აჩესონმა თავისი სიტყვის განსაკუთრებული განყოფილება მიუძღვნა ცდას დაემტკიცებინა, რომ აგრესია კორეაში მომზადდა და განხორციელდა „ჩრდილოეთ კორეის მხრივ“. ბ-ნმა აჩესონმა საქმე ისე დაგვიხატა, რომ ეს ნაბიჯი გადადგმული იყო რამდენიმე კვირის მერმე მას შემდეგ, რაც სამხრეთ კორეის მთავრობამ, აჩესონის სიტყვით, გაახადგურა ჩრდილოეთიდან ჩამოსული კომუნისტები, ჩაახშო აჯანყება თავის ქვეყანაში და იმას მიაღწია, რომ ჩრდილოელთა ყველა ხრიკმა ლისინმანური მთავრობის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით, როგორც იგი ბ-ნმა აჩესონმა დაგვიხატა, სრული კრახი განიცადა. ბ-ნმა აჩესონმა ზუსტად იცის, თუ რამდენი ახალგაზრდა ჩრდილოეთკორეელი სწავლობდა ციმბირში; თუ 1949 წლის ზაფხულის დამლევს, მისი სიტყვით, როგორ განიცადა წმენდა კორეის შრომის პარტიამ და „ფარულად ჩაყლაპა სამხრეთ კორეის შრომის პარტია“; თუ როგორ შეიქმნა ჩრდილოეთ კორეაში—მე მომყავს ბ-ნ აჩესონის სიტყვები — „დიდი არმია“, თუ როგორ „აღზარდეს, გაწვრთნეს, კარგად შეიარაღეს იგი“ და საბჭოთა მთავრობა როგორ აძლევდა მას „სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის“ რჩევას; თუ, ბოლოს, ჩრდილოეთ კორეის მთელმა სამოქალაქო მოსახლეობამ როგორ გაიარა ძირითადი სამხედრო მომზადება. ყოველივე ეს დაწვრილებით იცის ბ-ნმა აჩესონმა, მისივე საკუთარი აღიარებით, ისეთი ინფორმატორებისაგან, როგორიც არიან დეზერტირები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალი ჩრდილოეთ კორეაში.

მაგრამ რა ხდებოდა ამ დროს სამხედრო თვალსაზრისით სამხრეთ კორეაში? ბ-ნმა აჩესონმა არაფერი არ იცის ამის შესახებ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სამხრეთ კორეის არმია სრულიადაც არ იყო მომზადებული შეტევით

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის გაგრძელება

1949 წლის ივნისში სამხრეთკორეელებმა, გადაიყვანეს რა ნაღმსატყორცნებით შეიარაღებული შვიდ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და მსხვილი კალიბრის არტილერიის დივიზიონი, დაიწყეს შეტევა, რათა დაეპყრათ ხელსაყრელი ზღუდეები ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე. ბრძოლამ მცირეოდენი შესვენებებით ორ თვეს გასტანა.

27 ივნისს სამხრეთკორეელთა ბატალიონმა დაიკავა მაღლობი 288,0, ხოლო 19 ივლისს სამხრეთკორეელებმა ხელთ იგდეს მაღლობები 112,0, 131,7 და 123,0 (1 კილომეტრამდე მანძილზე 38-ე პარალელის ჩრდილოეთით). 4 აგვისტოს ჩრდილოეთკორეელებმა დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები და მთლიანად გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან ჩრდილოეთ კორეის ტერიტორია.

ბრძოლები კაიძიოს რაიონში წარმოებდა 1949 წლის 22 ივლისიდან 1 აგვისტომდე. 25 ივლისს სამხრეთკორეელთა ერთმა ბატალიონმა გაძლიერებული საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიიტანა და დაიპყრო მაღლობი 488,2 (38-ე პარალელის ჩრდილოეთით). ბრძოლების შედეგად, რომლებიც 1949 წლის 28 ივლისიდან 1 აგვისტომდე გრძელდებოდა, სამხრეთკორეელთა ნაწილები განდევნილ იქნენ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიიდან.

კაიძიოს რაიონში შეტევის მსვლელობაში სამხრეთკორეელებმა გამოიყენეს დიდძალი არტილერია და ნაღმსატყორცნები. მხოლოდ ერთ დღეს — 28 ივლისს სამხრეთკორეელებმა გაისროლეს მძიმე ჰაუბიცის 3.500-ზე მეტი ყუმბარა და 1.000-ზე მეტი ნაღმი.

გარდა ამისა, სამხრეთკორეელებმა 38-ე პარალელი სხვა რაიონებშიც დაარღვიეს, მაგალითად, ძიოიოს რაიონში (აღმოსავლეთი სანაპირო). ამ რაიონში 28 ივნისს სამხრეთკორეელებმა 38-ე პარალელზე გადაიყვანეს ორი სადივერსიო რაზმი 156 კაცის რაოდენობით, რათა უკანდასახევი გზა მოეჭრათ ჩრდილოეთ კორეელებისათვის გენზან (ვონსანი) — ძიოიოს უბანზე. 5 და 6 ივლისს სამხრეთკორეელებმა ბატალიონამდე ქვეითი ჯარის ძალებით დაიკავეს ეიტოკური და კოოუდენრი და 4,5 კილომეტრით შეიჭრნენ 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, და სამხრეთ კორეელების ერთ ბატალიონამდე ჯარმა დაიკავა მაღლობი კიდომნრის რაიონში 1 კილომეტრამდე 38-ე პარალელის ჩრდილოეთით. უნდა მოგაგონოთ, რომ კორეაში აგრესიის საკითხი გენერალური ასამბლეის უკვე V სესიაზე იყო აღძრული 1950 წელს, როცა ამერიკის დელეგაცია შეეცადა უარეყო ფაქტი კორეაში ამერიკის აგრესიისა ლისინმანური მთავრობის მონაწილეობით. უკვე მაშინ ამ ცდამ სრული მარცხი განიცადა. საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილმა დამამტკიცებელმა საბუთებმა გამოააშკარავეს ამერიკის შეერთებული შტატების იმ განზრახვის მთელი სიყალბე, რომ ჩრდილოეთ კორეის მთავრობისათვის აგრესიის დაბრალებით მიეჩქმალათ საკუთარი აგრესია. ჩვენ უკვე მაშინ ცხადვყავით, თუ როგორ ეწეოდნენ ლი სინ მანის მთავრობა და მისი ამერიკელი მეგობრები ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის მზადებას, წარმოვადგინეთ უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც დღემდე უარყოფილი არ არის. ამ მზადებაში სერიოზულ როლს ასრულებდა ლი სინ მანი, როგორც ეს ჩანს მისი 1949 წლის 30 სექტემბრის წერილიდან ამერიკელი პროფესორის ოლივერის სახელზე. მე მაშინ მოვიყვანე ამ წერილის ნაწყვეტები. პროფესორმა ოლივერმა დაადასტურა ფაქტი, რომ მიიღო ასეთი წერილი, რომელშიც ლი სინ მანი ამტკიცებდა, რომ „ახლა (უკვე 1949 წლის სექტემბერში) ფსიქოლოგიურად ყველაზე შესაფერისი მომენტია იმისათვის, რომ დავიწყოთ აგრესიული ღონისძიებანი და შევუერთდეთ ჩვენდამი ლოიალურად განწყობილ კომუნისტური არმიის ნაწილს ჩრდილოეთში, რათა მოვსპოთ მისი დანარჩენი ნაწილი“.

„ჩვენ, — წერდა ლი სინ მანი ოლივერს, — კიმ ირ სენის ადამიანთა ერთ ნაწილს შევრეკავთ მთიან რაიონებში და იქ შიმშილით ამოვხოცავთ“.

ლი სინ მანი არწმუნებდა დოქტორ ოლივერს, რომ მან და მისმა მეგობრებმა დამშვიდებით უნდა იმუშაონ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში, იგი კი, ლი სინ მანი, იმუშავებს სეულსა და ტოკიოში, რათა განახორციელოს ერთი მიზანი — „გაწმინდოს კორეა და წესრიგი დაამყაროს თავის სახლში“.

ამავე მიმართულებით მოქმედებდა ჩრდილოეთ კორეის ელჩიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩო ბიონ ოკი, რომელიც ლი სინ მანს 1949 წლის ოქტომბერში სწერდა, რომ დიდი ყურადღებით და ინტერესით წაიკითხა მისი წერილები დოქტორ ოლივერისადმი „ჩრდილოეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის ლიკვიდაციის“ შესახებ. „მე ეს საკითხი განვიხილე, — წერდა ჩო ბიონ ოკი, — ელჩ ტიანთან და დოქტორ ოლივერთან ერთად, და ერთსულოვნად მივედით დასკვნამდე, რომ ეს უნდა მივიჩნიოთ ჩვენი მთავრობის ძირითად გეგმად, რომელიც უნდა განხორციელდეს, როცა მზად ვიქნებით და როცა ხელსაყრელი მომენტი დადგება“.

1949 წლის ნოემბერში ჩო ბიონ ოკი ლი სინ მანისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ „კორეის გაერთიანება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ჩვენი მთავრობის სუვერენული ხელისუფლების გამოყენების გზით“, და რომ ლი სინ მანის მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამხრეთ კორეის სამხედრო და ეკონომიკური მზადყოფნის გაძლიერება.

1949 წლის 30 დეკემბერს ლი სინ მანი აშკარად აცხადებს, რომ „გადაწყვეტილი აქვს ახალ წელიწადში (ე. ი. 1950 წელს) მიაღწიოს დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებას — მას მხედველობაში აქვს ჩრდილოეთ კორეის დაპყრობა. იგი უკვე აშკარად იძლევა გაფრთხილებას, რომ ამიერიდან სამხრეთკორეელები აღარ აწარმოებენ საშვიდობო პოლიტიკას, რომ მათ უნდა ახსოვდეთ, რომ „ახალ წელიწადში საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით ჩვენ (ე. ი. ლისინმანელებმა) ჩვენი ძალებით უნდა გავაერთიანოთ სამხრეთი და ჩრდილოეთი კორეა“.

ცხადია, რა თქმა უნდა, რომ ლი სინ მანი და მისი ხელქვეითნი ვერ გაბედავდნენ ასე აშკარად ლაპარაკს ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის თავიანთი გეგმების შესახებ, მათთვის რომ ამ აგრესიულ განზრახვაში მხარი არ დაეჭირათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს.

ამ პერიოდში შორეულ აღმოსავლეთში ჩავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ჯონსონი, ამერიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ბრედლი, სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ჯონ ფოსტერ დალესი, რომლებმაც კორეაში გამართეს საიდუმლო თათბირი გენერალ მაკარტურთან, ხოლო დალესმა, როგორც ცნობილია, ინახულა სამხრეთ კორეა და განზრახული ფრონტის ხაზზე, საველე სანგრებში, დაჰყო 11 დღეს 25 ივნისამდე, როცა სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ კორეას. სამხრეთ კორეის ეროვნულ კრებაში 19 ივნისს წარმოთქმულ სიტყვაში დალესმა მოიწონა ჩრდილოეთ კორეაში შეიარაღებული ავანტიურის ლისინმანური გეგმები და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ კორეას გაუწევენ მთელ საჭირო მორალურ და მატერიალურ დახმარებას კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1950 წლის 20 ივნისს, ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის 5 დღით ადრე, დალესი ლი სინ მანს სწერდა: „მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმ გადამწყვეტ როლს, რომელიც თქვენს ქვეყანას შეუძლია შეასრულოს დიდ დრამაში, რომელიც ახლა იწყება“.

დღემდე ჩვენ დალესისაგან არ მოგვისმენია ახსნა-განმარტება, თუ რას ნიშნავს ეს ფრაზა. ეს ფრაზა ჩვენ მაშინ დალესს წავუყენეთ, როგორც მძიმე ბრალდება კორეაში ომისადმი წაქეზებაში. ეს ბრალდება გაუბათილებელი დარჩა.

თავის დროზე ბ-ნ აჩესონს არ ულაპარაკნია ამაზე. ახლა მან გადაწყვიტა გაეკეთებინა თავისი განცხადებანი და ცდილობდა, როგორც ჩანს, არ შერცხვენილიყო ამომრჩეველთა წინაშე. მაგრამ მან კორეის გაერთიანებისა და აღდგენის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის მოხსენების გამო საბაბი მოგვცა შევხებოდით ყველა ამ მნიშვნელოვან საკითხს, რომელთა განხილვაც სრულ სინათლეს ფენს კორეის ამბებს. უკვე 1950 წლის იანვარში გენერალმა რობერტსმა, ინსტრუქციას აძლევდა რა ლისინმანელ მინისტრებს, განაცხადა, რომ „გეგმა ლაშქრობისა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ გადაწყვეტილი საქმეა“. რობერტსი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ, თუმცა თავდასხმას თვით ისინი დაიწყებენ, მაინც უნდა შეიქმნას საბაბი, რათა იქნას სამართლიანი მიზეზი და რომ ამის შესრულება შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიას, რომელიც საჭირო დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარუდგენს შესაბამის მოხსენებას. ამ დროისათვის ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის გეგმა უკვე მზად იყო.

არსებობს ბევრი სხვა, ამდენადვე ავტორიტეტული დამამტკიცებელი საბუთები, რომ ლისინმანელთა არმია ემზადებოდა ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმისათვის. ამ დამამტკიცებელ საბუთებს შორის სერიოზული მნიშვნელობა აქვს ლისინმანური მთავრობის საიდუმლო არქივიდან ამოღებულ სტრატეგიულ რუკას, რომელიც ხელში ჩაუვარდა ჩრდილოეთ კორეის მთავრობას.

V სესიაზე მე დაწვრილებით მოვიყვანე შინაარსი ამ რუკისა, რომელიც გვიჩვენებს სამხრეთ კორეის არმიის ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის გეგმას ყვითელი ზღვის სანაპიროდან დაბა კორანპომდე და კორანპოდან აღმოსავლეთ სანაპირომდე. რუკაზე ნაჩვენებია მთავარი დარტყმების მიმართულება. რუკაზე აღნიშნული იყო ინჩონიდან ფხენიანის წინააღმდეგ საზღვაო დესანტის გადასხმის პუნქტები, აგრეთვე აღნიშნულია შეტევა ტონდუჩენის, ჩუნჩენის, ხანჩისა და სხვ. რაიონებიდან.

ეს არის უდავო ფაქტები, უდავო დამამტკიცებელი საბუთები ჩრდილოეთ კორეაზე წინასწარ მოფიქრებული და მოწყობილი თავდასხმისა სამხრეთ კორეიდან, რომელსაც მეურვეობენ ამერიკის შეერთებული შტატები, თავდასხმისა, რომელიც მოამზადეს და რომელსაც შემდეგ მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა.

ყველაფერი, რაც აქ ბ-ნმა აჩესონმა თქვა აგრესიაზე ჩრდილოეთიდან, არავითარი ყურადღების ღირსი არ არის. არც ერთი ფაქტი, რომლებმაც უთუოდ დაადასტურეს აგრესია სამხრეთიდან, გაბათილებული არ არის; თავისი ვერსიის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი სახელმწიფო დეპარტამენტს არ წარმოუდგენია. ყველაფერი, რისი წარმოდგენაც ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის ბატონ წარმომადგენლებს შეუძლიათ, ეს არის გაცვეთილი ფრაზების დეკლამაცია, რასაც არავითარი ფასი არა აქვს. მათ თითქოს თავიანთი თავი თავისუფლად მიაჩნიათ იმ მოვალეობისაგან, რომ რაიმე დაამტკიცონ. იმეორებენ რა ავტომატურად ერთსადაიმავე ფრაზას ჩრდილოეთ კორეიდან აგრესიის შესახებ, ისინი იმოწმებენ უშიშროების საბჭოს 25 ივნისის გადაწყვეტილებას, რომელმაც უპელაციოდ გამოაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ჯარები თავს დაესხნენ სამხრეთ კორეას. ამ გადაწყვეტილების წარმოშობის საკითხი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ. მართლაც, რა ცნობების საფუძველზე მიიღო ასეთი გადაწყვეტილება უშიშროების საბჭომ? როგორ იყო ნამდვილად საქმე 25 ივნისს? რა რწმენა უნდა ჰქონოდათ უშიშროების საბჭოს წევრებს იმ ფაქტების სინამდვილისადმი, რომლებიც მათ ესოდენ უპელაციოდ საფუძვლად დაუდეს თავიანთ გადაწყვეტილებას?

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის საზღვარზე მომხდარი ამბების შესახებ უშიშროების საბჭოს ინფორმაციის პირველი წყარო იყო სამხრეთ კორეის მთავრობა, რომელმაც განაცხადა, თითქოს ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს ონგდინის ნახევარკუნძულზე ზოგიერთი პუნქტის წინააღმდეგ და დესანტი გადასხეს კანინის ჩრდილოეთით და სამხრეთით და სეულისაკენ მიიწევდნენ.

დამახასიათებელია, რომ ტრიუგვე ლიმ 25 ივნისის სხდომაზე, როცა ეს ამბები გააშუქა ლისინმანური მთავრობის ცნობის მიხედვით, დაიმოწმა კორეის შესახებ მის მიერ მიღებული მოხსენება და ცნობები სხვა წყაროებიდან, რომლებიც თითქოს ცხადყოფდნენ, რომ სიმარი მოქმედება დაიწყეს ჩრდილოეთ კორეის ჯარებმა. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის შესახებ კომისიის 1950 წლის 25 ივნისის ყაბლოგრამა გენერალური სამდივნოსადმი ხმამ შეიცავდა მხოლოდ უკვე ზემოაღნიშნულ ლისინმანური მთავრობის ცნობას, რომელიც შედგენილი იყო ტენდენციურად, ჩრდილოეთ კორეის მთავრობისადმი მტრულად. გაერთიანებული ერების თვით კომისიას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის საზღვარზე მომხდარი ამბების შესახებ ამ დროს არავითარი ცნობა არა ჰქონია გარდა იმისა, რაც ნათქვამი იყო კორეის მთავრობის კაბლოგრამაში, რომელიც წარადგინა ამერიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გროსმა და რომელიც მან მიიღო კორეაში ამერიკის ელჩ მუჩოსაგან, რომელმაც თავის მხრივ ეს ცნობები მიიღო ლისინმანური მთავრობისაგან. გარდა ამისა, კომისიის მეთვალყურენი საზღვარზე გამგზავრებიდან სეულს დაბრუნდნენ 1950 წლის 23 ივნისს და ამ გამგზავრების შესახებ თავიანთი მოხსენების შინაარსი გადასცეს კომისიას, რომლის სხდომაც სეულში გაიმართა მხოლოდ 1950 წლის 26 ივნისს, რის შემდეგაც კომისიამ თავისი დეპეშა გაგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორც კომისიის მოხსენებიდან ჩანს, კომისიამ თავისი ინფორმაცია 38-ე პარალელის გაყოლებით მომხდარი ამბების შესახებ მიიღო სამხრეთ კორეის შინაგან საქმეთა მინისტრისა და სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ მუჩოსაგან, სწორედ იმ მუჩოსაგან, რომელმაც 1949 წლის ივნისის მეორე ნახევარში გენერალ რობერტსთან, პეიოთთან, სამხრეთ კორეის მინისტრებთან სინ სენ მოსთან, კვონ სინ ერსა და კიმ ი სეკთან თათბირზე ინსტრუქცია მისცა მათ იმის შესახებ, რომ „ივლის-აგვისტოს პერიოდში საჭიროა დიდი მზადება ჩრდილოეთისაკენ გასალაშქრებლად“. რაც შეეხება კომისიის მეთვალყურეებს, ამბების დაწყების დროს ისინი 38-ე პარალელზე არ ყოფილან და მთელი მათი დაკვირვება მდგომარეობისადმი 38-ე პარალელის გაყოლებით მიეკუთვნება 38-ე პარალელის რაიონში მათი ყოფნის უკანასკნელ დღეს, 22 ივნისს, ე. ი. საომარი მოქმედების დაწყებამდე სამი დღის პერიოდს.

(გაგრძელება იქნება)

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდლობამ 30 ოქტომბერს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ცენტრალური ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 4 და დაზიანეს 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიან დასახლებულ რაიონებზე თავდასხმებში.

გენერალ ნამ ირის პროტესტი

პეკინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტმა 30 ოქტომბერს კესონიდან გადმოგვცა:

26 ოქტომბერს სამხედრო ტყვეთა ბანაკში კუნძულ კოჯედოზე ამერიკელთა მიერ ორგანიზებული სამხედრო ტყვეთა ახალი მხეცური ხოცვა-ჟლეტის შედეგად მოკლული და დაჭრილია კორეისა და ჩინეთის მხარის 76 სამხედრო ტყვე.

კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგაციის მეთაურმა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე გენერალმა ნამ ირმა ამერიკელებს მტკიცე პროტესტი განუცხადა ამ ბარბაროსული სამხედრო დანაშაულის წინააღმდეგ.

გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა, რომ, სრულიად უსაფუძვლოდ და თვითნებურად შეწყვიტეს რა დაზავების შესახებ მოლაპარაკება, ამერიკელები განაგრძობენ სამხედრო ტყვეების გულცივად დახოცვას. ეს არა მარტო იმას ამტკიცებს, რომ სამხედრო ტყვეთა დაკავების ყველა მათი საბაბი უსაფუძვლოა, არამედ აგრეთვე ცხადყოფს, რომ ამერიკელები ისწრაფვიან ძირი გამოუთხარონ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებას. ამერიკელები, განაცხადა გენერალმა ნამ ირმა, ვერ გაეკეთებინან პასუხისმგებლობას სამხედრო ტყვეების დახოცვისა და დაკავებისათვის, დაზავების შესახებ მოლაპარაკების ძირის გამოთხრისა და კორეის ომის გასაფართოებლად მზადებისათვის.

ამერიკელები განაგრძობენ კორეის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების გარბაროსულ დაბომბვას

ფხენიანი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამერიკელმა ინტერვენტებმა, რომლებიც ცდილობენ გააფართოონ კორეის ომი, გააძლიერეს ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების დაბომბვა. 29 ოქტომბერს ღამით ამერიკის 72 მძიმე ბომბდამშენმა კვლავ ბარბაროსულად დაბომბა ფხენიანის მიდამოები. ამ თავდასხმის შედეგად, რომელმაც სამ საათს გასტანა, მოკლულია 263 კაცი, დანგრეულია მრავალი გლეხის სახლი და მიწური.

მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების ბარბაროსული დაბომბვის გაძლიერება, აღნიშნავს კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო, აშკარავებს ამერიკელი აგრესორების მხეცურ სახეს.

პუერტო-რიკოს ჯარისკაცებს არა სურთ იომოონ კორეაში

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „დაილი ფ ნუეკა ორკის“ (სასპარეზო ენაზე გამოდის ნიუ-იორკში) კორესპონდენტი სანხუანიდან (პუერტო-რიკო) იუწყება, რომ სამხედრო პოლიციამ დააპატიმრა კორეიდან ამას წინათ დაბრუნებული პუერტორიკოელი სერჟანტი ლუგო ლოპესი იმისათვის, რომ მან მიტინგზე განაცხადა, რომ ამერიკის არმია პუერტორიკოელებს კორეაში იყენებს როგორც საზარბაზნე ხორცს. პუერტორიკოელებს, თქვა მან, გზავნიან ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე, რის შედეგად ამ უკანასკნელ კვირეებში პუერტორიკოელ ჯარისკაცებს შორის იყო ბევრი მოკლული და დაჭრილი.

სან-ხუანის გაზეთ „ელ მუნდოს“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ჯარისკაცთა წერილები, რომლებშიც აღწერილია პუერტორიკოელ ჯარისკაცთა მძიმე პირობები კორეაში. ჯარისკაცები წერენ, რომ მათ სურთ რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ შინ პუერტო-რიკოში.

გაზეთი „ელ მუნდო“ აქვეყნებს აგრეთვე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომლებიც მოითხოვენ პუერტორიკოელ ჯარისკაცთა დაუყოვნებლივ გაწვევას კორეიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესიაზე

პოლიტიკური კომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). 29 ოქტომბერს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე გრძელდებოდა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის საქმეთა კომისიის მოხსენების“ განხილვა. სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის გამოსვლას კორეის საკითხზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხია და რომელსაც გენერალური ასამბლეის მომდინარე სესიაზე იხილავენ, დიდი ინტერესით მოელოდნენ. ამერიკის პრესა ყურადღებას აქცევდა იმ ფაქტს, რომ სამი დღის მანძილზე არც ერთ დელეგატს არ მოუსურვებია სიტყვის აღება აჩესონის მიერ შეტანილი ამერიკის რეზოლუციის მხარდასაჭერად. ამასთან გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მთელმა რიგმა დელეგაციებმა ცხადყვეს, რომ ისინი მხარს ვერ დაუჭერენ კორეის მოლაპარაკებში ამერიკის სარდლობის მიერ დაკავებულ პოზიციას.

პირველი კომიტეტი იძულებული იყო შეეწყვიტა თავისი სხდომები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გამოსვლამდე.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა, რომელშიც დაწვრილებითა და გულდასმით გარჩეულ იქნა აჩესონის მთელი სამსაათიანი სიტყვა კორეის საკითხზე, აღსავსე იყო დამაჯერებელი არგუმენტებით, როგორც ეს იძულებულია აღიაროს თვით ნიუ-იორკის პრესამ, და დაახლოებით ოთხ საათს გრძელდებოდა. სიტყვა დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი ხალხით გაჭედილ დარბაზში და მას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ მთელი რიგი დელეგაციები და სტუმრები. თავმჯდომარემ. ბრაზილიელმა დელეგატმა მუნიზმა, ბევრჯერ სცადა თავმჯდომარის ჩაქუჩის გაფიცრებული კაკუნით და დაეინებითი მოთხოვნით შეეწყვეტინებინა ტაში, მაგრამ მისი ცდა უშედეგოდ დარჩა.

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვენა, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭედვითი სიტყვის გაყოფილება იუწყება, რომ 28-29 ოქტომბერს ვენაში ავსტრიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრის ფრანც ჰონერის თავმჯდომარეობით გაიმართა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პარლამენტის მომავალი არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ იოჰან კო